

შპს „ესპრესპო ჯორჯია“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ინდივიდუალური საერთო დანიშნულების

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შპს ესპრესო ჯორჯია

ინდივიდუალური სრული შემოსავლიდან და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018
შემოსავალი	1	4,802,242
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,890,706)
საერთო მოგება		911,536
საერთო და ადინისტრაციული ხარჯები	2	(967,091)
სხვა შემოსავალი		2,548
საოპერაციო მოგება		(53,007)
სხვა ხარი		(155,179)
ფინანსური ხარჯი		(121,184)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(29,597)
პერიოდის მოგება		(358,966)
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		(358,966)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვაჟა ჩხეიძე



მთავარი ბუღალტერი

ეკა სხირტლაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
შპს ესპრესო ჯორჯია
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება
2018 და 1 იანვარს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	1,017,062	1,003,347
არამატერიალური აქტივი	6	5,268	6,081
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,022,330	1,009,428
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	636,202	1,008,541
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		297,497	367,811
ფული და ფულის ექვივალენტები	3	22,234	21,441
სულ მიმდინარე აქტივები		955,933	1,397,794
სულ აქტივები		1,978,262	2,407,221
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(858,698)	(459,561)
სულ საკუთარი კაპიტალი		(858,598)	(459,461)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და ფინანსური იჯარა		1,174,105	1,522,329
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,174,105	1,522,329
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		536,107	811,194
სესხები და ფინანსური იჯარა მოკლევადიანი 7		1,126,648	533,160
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,662,756	1,344,354
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,978,262	2,407,221

დირექტორი
ვაჟა ჩხეიძე




მთავარი ბუღალტერი

ეკა სხიჩელაძე



სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „ესპრესო ჯორჯია“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ესპრესო ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზირი N8. საიდენტიფიკაციო კოდი 205083416. კომპანია რეგისტრირებულია 05.08.2005წ.

მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით.

კომპანიას არ გააჩნია მშობელი, შვილობილი და მეკავშირე კომპანიები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. ვინაიდან კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს ესპრესო ჯორჯია სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება ან შესრულდება მომსახურება. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით დღგ-ს გარეშე.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც

დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირინაირად:

სასარგებლო მომსახურების

ვადა

შენობა-ნაგებობა	20
დანადგარები	5-10
ავტოტრანსპორტი	7-10
ოფისის დანადგარები, აღჭურვილობა და ავეჯი	5-10
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის ვადით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი და მისაღები საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი გასამრჯელოს გადახდები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური

გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3. განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა N1

ამონაგები

	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,802,242
სხვა შემოსავალი	2,548
სულ	4,804,790

შენიშვნა N 2 .

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
ხელფასის ხარჯი	(655,373)
ცვეთა და ამორტიზაცია	(88,367)
მივლინების ხარჯი	(8,460)
კომუნიკაციის ხარჯები	(4,071)
იჯარა	(160,304)
სხვა	(50,516)
სულ	(967,091)

შენიშვნა N.3

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.12.2018	01.01.2018
ფული ბანკში	2,255	7,033
ფული სალაროში	19,978	14,408
სულ	22,234	21,441

შენიშვნა N4

მარაგები

	31.12.2018	01.01.2018
მზა პროდუქცია	266,249	278,126
ნედლეული და მასალები	369,953	730,415
სულ:	636,202	1,008,541

შენიშვნა N 5

ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აქსუროვები	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
თვითღირებულება 1 იანვარი 2018	494,756	142,920	233,161	38,553	319,417	99,333	1,328,139
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	-	14,419	87,500	14,899	159,436	48,537	324,792
საბალ. ღირებულება 1 იანვარი 2018	494,756	128,501	145,662	23,653	159,980	50,795	1,003,347
შემოსვლა	-	-	530	4,946	104,180	-	109,656
გასვლა	-	-	-	-	-	34,000	34,000
ცვეთის ხარჯი	-	7,146	21,843	3,863	42,078	12,625	87,554
დაგროვილი ცვეთა გაყიდვამდე	-	-	-	-	-	25,613	25,613
საბალ. ღირებულება 31 დეკემბერი 2018	494,756	121,355	124,349	24,736	222,083	29,783	1,017,062
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018	494,756	142,920	233,691	43,498	423,597	65,333	1,403,795
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	21,565	109,343	18,762	201,514	35,549	386,733

შენიშვნა N 6

არამატერიალური აქტივი

	ლარი
თვითღირებულება 1 იანვარი 2018	8,132
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2018	2,052
საბალ. ღირებულება 1 იანვარი 2018	6,081
შემოსვლა	-

გასვლა

ცვეთის ხარჯი

813

დაგროვილი ცვეთა გაყიდვამდე

საბალ. ღირებულება 31 დეკემბერი 2018

5,268

თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018

8,132

დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018

2,865

შენიშვნა N 7

სესხები/დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო 2018 წელს კომპანიის მიერ დირექტორის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 15,750 ლარი. კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ. სესხი განიხილება როგორც მოკლევადიანი.

01.01.2018

ვალდებულების ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს

533,160

სესხის აღება

2,038,041

სესხის დაფარვა

(1,444,553)

ვალდებულების ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს

1,126,648

ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით ურთიერთდამოკიდებული პირისაგან და სხვა პირებისაგან აღებული აქვთ საიჯარო ქონება. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომელიც მიმდინარე 2018 წელს აღიარებულია ხარჯად შეადგენს 160 304 ლარს. ასევე კომპანიას იჯარით გაცემული აქვს საოფისე ფართის ნაწილი და მიწის ნაკვეთი. საანგარიშგებო პერიოდში მიღებული შემოსავალი შეადგენს 37,322 ლარს.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვაჟა ჩხეიძე



მთავარი ბუღალტერი

ეკა სხირტლაძე

